ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01201351381**
თარიღი: **14/05/2020**
პინი: **7649**

ადრესატი: მარიამ დიხამინჯია
პირადი ნომერი: 01001074732
მისამართი: დიდი დიღომი პ.იბერის 16 ბ. ბ.7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალბატონო მარიამ,

თქვენი მ/წლის 6 მაისის განცხადებით (მერიაში რეგისტრაციის № 19/01201271509-16; 06.05.2020წ.) წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია იმ პირობით რომ ტროტუარების ნაწილი რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილების შემთხვევაში სქემა ხელახლა საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

შენიშვნა: სსიპ - ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/fAHv4OYNJ6RYCzG

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0120143734**
თარიღი: **22/05/2020**
პინი: **5783**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს,

თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2020 წლის 18 მაისის თქვენი N17-01201391501-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ე. ბორცვაძის ქუჩა, N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.01.005.028) უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურული პროექტის (AR1742516) შეთანხმების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ-ტრანსპორტის განვითარების სააგენტომ განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

კვლევაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ავტობუსების გაჩერება მისაწვდომობის ფარგლებშია და გააჩნია რეზერვი. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია (ჯ.ბალანჩინის ქუჩა) მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). ასევე მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორადი საქალაქო და საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, შეძლებს სამომავლოდ ობიექტიდან გენერირებულ და მიზიდულ სტუდენტთა და თანამშრომელთა საზ. ტრანსპორტით სრულად დაკმაყოფილებას. ასევე, შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გზის დიდ ნაწილს არ გააჩნია ტროტუარი, ასევე გვხვდება ბარიერები. საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებსში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძების მიმართულებების ნაწილზე შეინიშნება დატვირთულობა, თუმცა აღნიშნული საპროექტო ობიექტის სამომავლოდ გენერირებული საავტომობილო მგზავრობები და დაგეგმილი არქიტექტურული პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე. ამასთან, დაგეგმილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გაუმჯობესების შემდგომ კვანძებზე არსებული დატვირთულობები საგრძნობლად განიმუხტება. გაიზრდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელთა წილი და შემცირდება კერძო ტრანსპორტის მომხმარებელთა რაოდენობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტო არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი